



სააპელაციო საბჭოს  
ბადაყვივითილება  
ქ. თბილისი



MES 1 20 0000649375



31/07/2020

**"შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №38 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №38 გადაწყვეტილებისა და №10 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №38 გადაწყვეტილება შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ.
2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 28 ივლისის MES 2 20 0000641077 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

